მეათეკლასელები პირველად 30 მაისს წარსდგნენ გამოცდებზე. მათ ამ დღეს მშობლიურ ლიტერატურაში ჰქონდათ წერითი გამოცდა. განათლების სამინისტროდან მიღებულ დალუქულ პაკეტებში, რომლებიც ყველგან დილის 9 საათზე გაიხსნა, სხვადასხვა სკოლისათვის სრულიად სხვადასხვა თემა აღმოჩნდა. ისინი ისე იყო შერჩეული, რომ ორი გვლილი ლიტერატურული მასალის საკითხს მოიცავდა, მესამე კი განყენებული ხასიათისა იყო, რომელიც მოსწავლისაგან, გარდა პროგრამული მასალის ცოდნისა, მეტ საერთო გაწვითარებას, ნაკითხობასა და ლიტერატურულ გემოვნებას მოითხოვდა.

ასეთი თემები იყო: „ბუნება ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში“; „გიორგი წერეთლის „პირველი ნაბიჯის“ პერსონაჟები“; „სიმბოლოს თემა ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში“; „ალ. ჭავჭავაძის შემოქმედების ძირითადი მოტიეები“; „ჩარჩენილი ბურჟუაზიის აღმოცენებისა და განვითარების ასახვა“ ლ. ჭონქაძის „სერამის ციხისა“ და ლ. არდაზიანის „სოლომონ ისაკის მეგანუაშვილის“ მიხედვით“; „ფიქრები თანამედროვე ქართულ პოეზიაზე“; „ამ ადამიანთა საქმეებმა და სიმამაცემ უზრუნველყო შენი თაობის სიცოცხლე“; „მე შთაგონებით ვკითხულობდი ბუშკინს“; „ვლეხობა ეგზეტერ ნინოშვილის მოთხრობების მიხედვით“; „ბრძოლის ველზე დაცემულნი კვლავ ცოცხლობენ“...

ყველა ეს თემა მეტნაკლებად ცნობილია მეათეკლასელთათვის. ამ საკითხების უმრავლესობა, რა თქმა უნდა, გაკვეთილებზე შეისწავლეს, ნაწილი ფაკულტატიური მეცადინეობის დროს გაიცეს, ზოგიც ლიტერატურის წრის სხდომებზე განიხილეს. ასე რომ სრულიად ეუცნობი, მოულოდნელი მითთვის არაფერი ყოფილა. ახლა საქმე ის იყო, მოსწავლეებმა როგორ გამოიყენებდნენ თეორიათა ცოდნას, შეძლებდნენ თუ არა საკუთარი ნაზარეგის სწორად ჩამოყალიბებას თხზულებებში, ჰქონდათ თუ არა დამოუკიდებელი მუშაობის საკმარისი უნარ-ჩვევები. თავისთავად ცხადია, რომ ამ ამოცანის გადაჭრა დამოკიდებული იყო სასწავლო წლების მანძილზე გაწეულ შრომაზე, მოსწავლეთა სიპეჯეთეზე, მათს თანმიმდევრულ მუშაობაზე, პედაგოგთა ცოდნა-გამოცდილებასა და გარჯილობაზე, სკოლის მუშაობის საერთო სტილზე და ოჯახზეც...

გამოცდები ორგანიზებულად ბიბის ჩვენი დედაქალაქის 111-ე საშუალო სკოლაში. აქ ქართულ და რუსულ სექტორებზე ორმოცამდე მეათეკლასელი აბარებდა გამოცდებს მშობლიურ ლიტერატურაში. სკოლის დირექტორი (დირექტორი ე. ცაცანაშვილი) თავის დროზე ეზრუნა გამოცდების წარმატებით ჩატარებისათვის, და შედეგებიც მეტაფიოდ გამოჩნდა პირველსავე გამოცდაზე: არავითარი ზედმეტი ფუსფუსი, იმ დღეს არც ერთი მშობელი არ გაჯარებია სკოლას, მორიგე მასწავლებლებიც ეს ფეხაკრეფით გაივლიდნენ ხოლმე დერეფნებში. მოსწავლეები უზრუნველყოფილი იყვნენ საწერ-ელმოთა და სხვა მოწყობილობით. არც ქართულ და არც რუსულ სექტორზე არც ერთ მოსწავლეს არ ჰქონდა მოტანილი საგანის მასწავლებლებმა ხოშტარიამ და ა. ალუთინოვამ ძმურადაც გამოიჩინეს პედაგოგიური ტაქტი: როდესაც პაკეტები გახსნეს და საწერი თემები წაიკითხეს, ისეთი სიამოვნება აღიბეჭდვა სახეებზე, თითქოს ძალიან მოსწონებოდეთ თემები. ამით გაიმხნევეს, საკუთარ ძალებსა და ცოდნაში დაარწმუნეს თავიანთი ოზრდილები. თუმცა, „აცქა რომ თქვა, თემები მაინცდამაინც არ იყო მოლად ოპტიმიზმის მომცემი, მოსწავლეებმა, მართალია, კეთილსინდისიერად, დამოუკიდებლად წერეს თხზულებები. როგორც ჩანდა, მათ ამის უნარი თავის დროზე გამოუმუშავეს პედაგოგებმა. ნაწილმა გაბედულად მოკიდა ხელს განყენებულ თემას. მაგალითად „ამ ადამიანთა საქმეებმა და სიმამაცემ უზრუნველყო შენი თაობის სიცოცხლე“, რომლის დასაწერად საჭირო იყო დიდი სამამულო ომისადმი მიძღვნილი საბჭოთა ლიტერატურის ცოდნა, რასაც სასწავლო პროგრამა არ ითვალისწინებს. მოსწავლემ მთელი ექვსი საათი თავუღებლივ იწრამა. ვნახოთ, რა შეფასებას მიიღებს მისი თხზულება...

ასევე ორგანიზებულად, მაღალ დონეზე ჩატარდა მეათეკლასელთა პირველი გამოცდები თბილისის № 61-ე (დირექტორი ლ. ჩხარტიშვილი), 62-ე (დირექტორი გრ. ონიანი), 47-ე (დირექტორი თ. ჩიხლაძე), მე-19 (დირექტორი ირ. ბაჩიძე), 124-ე (ე. ჯაფარიძე) და რუსუბოლიკის სხვა საშუალო სკოლებში. არანაკლებ ორგანიზებულია ბოლოდროინდელი დღეები.

სკოლებში ცოდნის დიდი მკა დასაწყისი ქარგა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საგამოცდო კომისიები კვლავაც ასე გულდაგულმოდგმულ მუშაობას, დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდებიან თავიანთი მოვალეობის შესრულებას, წარმატებით გადაკრავან ამ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანას, მტკიცედ, განუტრელად დაიცავენ განათლების სამინისტროს საგამოცდო ინსტრუქციის მოთხოვნებს.

ბ. ალავერდაშვილი.



საქართველო 72

საქართველო უძველესი სასოფლო-სამეურნეო კულტურის ქვეყანაა. ქართველი ხალხი ბინადარი ცხოვრებისა და მიწათმოქმედების პატრიარქია, ამიტომ ჩვენს ყოფაში შემონახულ ხალხის ხელარმოდ ცოდნა-გამოცდილებას არა მარტო ეროვნული, არამედ ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა ენიჭება...

ჩვენი კოლეგიურნეობები და საბჭოთა მეურნეობები თანამედროვე ტექნიკით შეიარაღდნენ, ხოლო ძველი სახელები, კვეშები, ფეხსები და სხვ. თითქმის განადგურდა, ხოლო რაც გადარჩა, თავის უკანასკნელ დღეებს ითვლის.

ზოგიერთ ოჯახში, მოხუცთა ხათრით, ჯერ კიდევ ინახავენ კაკს, ურემს, საქსოვ დაზგას, სამეთუნეო მორგვს, ავეჯს და სხვ. გარდაცვლაზე მოხუცი, და მის საყვარელ ნივთთა ინტენსიერი განადგურებაც იწყება. სამწუხაროდ, ნაკლებად ვიცით მათი ფასი; ნივთი ხომ „ადამიანის შრომის ჯამია“, ხანგრძლივი ძიებისა და რუდუნების შედეგი, კაცობრიობის კულტურის ელემენტი და ისტორიის უტყუარი წყარო. ამიტომ სანამ „ბელმანებზე“ ხელს აღვმართავდეთ, კარგად უნდა ავწონ-დაგწონთ — იქნებ ვინმეს გამოადგეს ისინი...

ამ ორმოცდაათიოდე წლის წინათ სოფლად უკვირდათ, აგტომანქანა უგზენილ როგორ დადიოდა, ახლა კი პირუტყვშემბული უომისა და საზიდარის ნახვა გასაოცარი. ასეა, ცხოვრება წინ მიდის. ახლა ვინ ინებებს კახეთიდან თბილისისაკენ კამეჩებშებმული ურმით გამომგზავროს და ლოჭინის ხეგნი ღამე გაათიოს... არა, მაგრამ ძველი ტრანსპორტის ნიმუშები როგორც რელიკვიები, ცხადია, უნდა შეგუნახოთ და შეგუნარჩუნოთ შთამომავლობას.

ძველი სახიდრებისა კი არა, თვით ძველი მანქანების შემონახვის საქმეც არასახარბიელოდ არის, თუ გავითვალისწინებთ ახლანდელი ტექნიკის განვითარების ტემპს, დღეს გამოყენებული ტრანსპორტი და საფეხრები ხვალ სამუზეუმო აღმოჩნდება. მაგალითად, სიამოვნებით დავათვალიერებდი ამ ოციოდე წლის წინათ საქართველოში გამოყენებული ავტომანქანების, ტრაქტორების და სხვა მისთანათა კოლექციას, მაგრამ, რამდენადაც ვიცი, ჩვენთან ასეთი გამოფენა-მუზეუმი არ არსებობს, მისი საჭიროება კი, რაც დრო გადის, უფროდაუფრო იგრძნობა.

ეს სამეცნიერო საქმეა და ფაფენებია დაუშვებელია. ჩვენს რესპუბლიკაში არსებული მუზეუმები ვერ უზრუნველყოფენ სოფლის მეურნეობის ტექნიკის და ტრანსპორტის გამოფენა-დაუნჯებას, მათ ამისათვის არც ბაზა გააჩნიათ და არც პროფილი. საჭიროა დროულად ჩამოყალიბდეს სასოფლო-სამეურნეო მუზეუმი, რომელიც თბილისში ჯერ კიდევ გაბეკლოთ ძველ ბალაბარ ტეუნიკას, ხალეულობრ მიწის დასამუშავებელ იარაღებს დაწყებული უმარტივესი ჩეკიდან და მარგილიდან დიდ ბუთნამდე; ტკერთნიდვისა და ტრანსპორტის საშუალებებს — მოკიდებულთ ქვეყრების საზიდი თუშიდან ქართულ ურმამდე, საფარეხლ, სალეწ, სანაიაგელ, სათიბ, საწნეხ, სასრეს, საცეხვ საფქვავ, სახარატო, სამეურნ, სამაბაკასვ და სხვ. უძველეს მრავალფეროვან მანქანა-დანადგარებს, მაბუ-ხაფანგებს, ოფინარ-ამწეებს და ა. შ. როგორც იტყვიან, სამკალი ბევრია.

ეფიქრობთ, ამ დიდ ეროვნულ საქმეს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი უნდა ჩაუდგეს ხელ-ძღვანელობით. ინსტიტუტის შესაბამის კათედრებზე მცოვანი და დამსახურებული მეცნიერები მუშაობენ, რომლებიც ხალხეული ტექნიკის ნამდვილი შემატყველნი არიან და სიამოვნებით იკისრებენ მუზეუმის ორგანიზაციის საქმეს, მრავალრიცხოვანი სტუდენტები, წინასწარ შედგენილი პროგრამით, ადგილებზე ვამოვლენენ საჭირო ექსპონატებს და უზრუნველყოფენ მათ შეგროვებას.

ინსტიტუტს მდიდარი მატერიალური ბაზა და ფართო ტერიტორია მოეპოვება და მისთვის სამუზეუმო ადგილის გამნაწილა პრობლემა არ არის. და, ბოლოს, უნდა დავძინოდ, რომ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტთან საკანძურის შექმნა კიდევ უფრო შეუწყობს ხელს წარმოებაში მეცნიერულ ტექნიკური პროგრესის დანერგვას, სტუდენტთა საწარმო პრაქტიკას, აგრეთვე თავის ორმოცდაათი წლის-თავზე ინსტიტუტი მუზეუმის სახით ეკარგ საჩუქარს მიიღებს.

ვიმედოვნებთ, ამ წინადადებით ხელთანადო ორგანოები დაინტერესდებიან და ჩვენს რესპუბლიკას კიდევ ერთი კეთილმოწყობილი მუზეუმი შეემატება.

ლ. ფრუსიძე,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

ᲨᲔᲛᲝᲕᲣᲜᲐᲮᲝᲗ ᲨᲗᲐᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲡ

საჭირო შეიქმნას სასოფლო-სამეურნეო მუზეუმი

◆

ხუთ საუკუნეში შეიქმნა ამერიკაკანადის სასოფლო-სამეურნეო საწოგადოებასთან და ნაყოფიერ მუშაობას ეწევოდა როგორც ახალი ტექნიკის დაფერგვის, ისე ძველი სამუშაო იარაღების შემონახვის საქმეში. ამ მუზეუმმა 1928 წლამდე იარსება, შემდეგ გაუქმდა, ხოლო ექსპონატები ჯიბნა. დღეს თვითონ ცხოვრებამ მოითხოვა მისი აღდგენა, მით უმეტეს, რომ ასეთი მუზეუმი ბევრ ქვეყანაში არსებობს.

სამართლიანად ვამაყობთ, რომ პირველად საქართველოში შეიქმნა ჩაის საკრეფი მანქანა. რატომ არ უნდა გვქონდეს ამ შესანიშნავი გამოგონების პირველი მოდელები მუზეუმში ეფესპონირებული? ასევე ითქმის მთიანი რელიეფისათვის განკუთვნილ სამამულო ტრაქტორებზე, აგტომანქანებზისა და სხვა მექანიზმებზე.

საბჭოთა საქართველოს სოფლის მეურნეობას თვალსაჩინო წარმატებები აქვს: ეწყობა გამოფენები, კონკურსები, სადაც ჩვენი პროდუქცია აღიარებას და უმაღლეს ჯილდოებს იხვეჭს, ყოველივე ამას თავმოყრა უნდა, რაც მხოლოდ მუზეუმშია შესაძლებელი. მიღწევათა გამოფენების ექსპონატებსაც ხომ ფონდირება და დაცვა ესაჭიროება. ასევე ზრუნვა არ უნდა მთავრდეს, რადგან ეგი წარმოადგენს სოფლის მეურნეობის მაღალგადაფიქრებული კადრების სამეცნიერო ყველა განხრის აგრონომიერი სპეციალობით.

ინსტიტუტის შესაბამის კათედრებზე მცოვანი და დამსახურებული მეცნიერები მუშაობენ, რომლებიც ხალხეული ტექნიკის ნამდვილი შემატყველნი არიან და სიამოვნებით იკისრებენ მუზეუმის ორგანიზაციის საქმეს, მრავალრიცხოვანი სტუდენტები, წინასწარ შედგენილი პროგრამით, ადგილებზე ვამოვლენენ საჭირო ექსპონატებს და უზრუნველყოფენ მათ შეგროვებას.

ინსტიტუტს მდიდარი მატერიალური ბაზა და ფართო ტერიტორია მოეპოვება და მისთვის სამუზეუმო ადგილის გამნაწილა პრობლემა არ არის. და, ბოლოს, უნდა დავძინოდ, რომ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტთან საკანძურის შექმნა კიდევ უფრო შეუწყობს ხელს წარმოებაში მეცნიერულ ტექნიკური პროგრესის დანერგვას, სტუდენტთა საწარმო პრაქტიკას, აგრეთვე თავის ორმოცდაათი წლისთავზე ინსტიტუტი მუზეუმის სახით ეკარგ საჩუქარს მიიღებს.

ვიმედოვნებთ, ამ წინადადებით ხელთანადო ორგანოები დაინტერესდებიან და ჩვენს რესპუბლიკას კიდევ ერთი კეთილმოწყობილი მუზეუმი შეემატება.

ლ. ფრუსიძე,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

ᲬᲘᲒᲜᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲐᲖᲔ



ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲘᲡᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲨᲘ

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲚᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ვლ. ᲭᲘᲚᲘᲜᲘᲡ, აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ჰ. ᲨᲐᲰᲑᲐᲖᲘᲜᲘᲡ და საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ საქალაქო ორგანიზაციამ. ბაკურ, ერევნის, კიშინიოვის, დუშანბეს მშრომელთა წარმომადგენლების შემდეგ აქ ჩამოვიდნენ მზიური უზბეკეთის წარმომადგენლები.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ მოკავშირე რესპუბლიკათა დედაქალაქების დღეები, რომლებიც მოაწყეს საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტმა და საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ საქალაქო ორგანიზაციამ. ბაკურ, ერევნის, კიშინიოვის, დუშანბეს მშრომელთა წარმომადგენლების შემდეგ აქ ჩამოვიდნენ მზიური უზბეკეთის წარმომადგენლები.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ მოკავშირე რესპუბლიკათა დედაქალაქების დღეები, რომლებიც მოაწყეს საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტმა და საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ საქალაქო ორგანიზაციამ. ბაკურ, ერევნის, კიშინიოვის, დუშანბეს მშრომელთა წარმომადგენლების შემდეგ აქ ჩამოვიდნენ მზიური უზბეკეთის წარმომადგენლები.

ᲬᲘᲒᲜᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲐᲖᲔ

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲚᲘᲐ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ვლ. ᲭᲘᲚᲘᲜᲘᲡ, აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ჰ. ᲨᲐᲰᲑᲐᲖᲘᲜᲘᲡ და საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ საქალაქო ორგანიზაციამ. ბაკურ, ერევნის, კიშინიოვის, დუშანბეს მშრომელთა წარმომადგენლების შემდეგ აქ ჩამოვიდნენ მზიური უზბეკეთის წარმომადგენლები.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ მოკავშირე რესპუბლიკათა დედაქალაქების დღეები, რომლებიც მოაწყეს საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტმა და საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ საქალაქო ორგანიზაციამ. ბაკურ, ერევნის, კიშინიოვის, დუშანბეს მშრომელთა წარმომადგენლების შემდეგ აქ ჩამოვიდნენ მზიური უზბეკეთის წარმომადგენლები.

ᲬᲘᲒᲜᲘ ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲐᲖᲔ

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲚᲘᲐ „განათლებამ“ ახლახან გამოსცა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების მექანიზაციის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის **სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების სახელმძღვანელოს** მეორე ნაწილი. **(მოსავლის ასაღები მანქანების თეორია და ანგარიში) გ. შხვეცაბაიასა და მ. ოშორიძის** ავტორობით.

ეს სახელმძღვანელო დიდ სამსახურს გაუწევს მაღალკვალიფიციური საინჟინრო კადრების მომზადების საქმეს. აღსანიშნავია, რომ ანალოგიური სხვა სახელმძღვანელო ქართულ ენაზე ჯერჯერობით არ მოგვეპოვება.

სახელმძღვანელო მოიცავს 379 გვერდს და შედგება შვიდი თავისაგან პირველ თავში განხილულია ბალახეული კულტურების ასაღები მანქანების პრინციპული სქემები და მოცემულია მათი ტექნოლოგიური გაანგარიშების საფუძვლები. (უსაყოფიერო მჭრელი აპარატების ფოცხების. სამუშაო ორგანოების და სხვ. თეორია). აქ მასალები თანმიმდევრობით არის ჩამოყალიბებული და ეს უფრო სრულყოფილს ხდის ამ სახელმძღვანელოს.

მეორე თავში ავტორები ძირითადად ეხებიან სალეწი მანქანებისა და კომბაინების კონსტრუქციულ და ტექნოლოგიურ სქემებს და იძლევიან მათს შედარებითს დახასიათებებს. ეს თავი დაწერილია სტუდენტებისათვის გასაგები ენით.

მოსავლის ასაღები მანქანების სამუშაო ორგანოების (მესამე თავი) დარგში ყურადღება გამახვილებულია ძირითადი მუშა ნაწილების (ტარაბუა, სალეწი ამაარატი, ჩალის სამეტყეი) ტიპების, პრინციპულ სქემებსა და გაანგარიშების საფუძველზე. მასალა მეთოდურად სწორად არის ჩამოყალიბებული. ავტორები მთავარ ყურადღებას აპარატების მუშაობას და თეორიულ საფუძვლებს უთმობენ.

ახალ გამოცემაში (წინასთან შედარებით) ამოღებულია „სასოფლო-სამეურნეო სატრანსპორტო მანქანები და ამწე მოწყობილობანი“. ეს საკვანძო სწორია, რადგან მექანიზაციის ფაკულტეტზე ახლა ცალკე საგნად იკითხება „მანქანათა ნაწილები და ამწე სატრანსპორტო მანქანები“.

საბოლოოდ ეფეთხე თავში განხილულია მარცვლის საწმენდი და მახარისხებელი მანქანების სამუშაო ორგანოების მუშაობის პრინციპები, სქემები და თეორიის საფუძვლები.

ტექნიკური კულტურების ასაღები მანქანებიდან, რომლებიც მეხუთე თავშია განხილული, ავტორები გამოაყოფენ კარტოფილის, ჭარხლის და სიმინდის ამღები ან ჩაის ბუჩქის სასხლავი და ფოთლის საკრეფი მანქანების მუშაობას. ეს თავი წინა გამოცემასთან შედარებით მოლიანად გადამუშავებული და განახლებულია. კარგად არის გაშუქებული ჭარხლის ფაცნარების და კონსტრუქტორების მიღწევები ჩაის საკრეფი მანქანების შექმნაში.

მეექვსე თავი მიძღვნილია სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების გამოცდისადმი. აქ განხილულია საზომი ხელსაწყოები და მათი გამოყენების მეთოდები. ეს მანქანები შექმნილი და დამზადებულია საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენიან სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში პროფ. გ. შხვეცაბაიას ხელმძღვანელობით.

ბოლო— მეშვიდე თავში განხილულია სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად საჭირო ენერგია და კუთვნილ ენერგოდანადგარები. ეს განყოფილება ისწავლება მანქანა-ტრაქტორთა პარკის ექსპლოატაციის კურსში, ამიტომ ჩვენი აზრით, საჭირო არ იყო მისი ვრცელად შეტანა.

უნდა აღინიშნოს, რომ სახელმძღვანელოში ილუსტრაციები ზოგ შემთხვევაში უხარისხოდ არის შესრულებული. სწორად არ არის მითითებული მჭრელი აპარატის ზოგიერთი თეორიული საფუძვლები (გვ. 281, ქვემოდან მეორე აბზაცი). ჩვენი აზრით, შესაძლებელი იყო მეორე და მესამე თავის გაერთიანება. საჭირო იყო სახელმძღვანელოს მეტი ტირაჟით გამოცემა.

მიუხედავად ამ შენიშვნებისა, სახელმძღვანელო სამაგალითო ნაშრომია და მას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია სოფლის მეურნეობის ახალგაზრდა სპეციალისტების აღზრდის საქმეში.

პროფესორი
ხ. ᲠᲝᲩᲘᲐ.

ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ, ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲝ!



ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲘᲐᲠᲐᲦ-ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲘ

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲚᲘᲐ „განათლებამ“ ახლახან გამოსცა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების მექანიზაციის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის **სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების სახელმძღვანელოს** მეორე ნაწილი. **(მოსავლის ასაღები მანქანების თეორია და აანგარიში) გ. შხვეცაბაიასა და მ. ოშორიძის** ავტორობით.

ეს სახელმძღვანელო დიდ სამსახურს გაუწევს მაღალკვალიფიციური საინჟინრო კადრების მომზადების საქმეს. აღსანიშნავია, რომ ანალოგიური სხვა სახელმძღვანელო ქართულ ენაზე ჯერჯერობით არ მოგვეპოვება.

სახელმძღვანელო მოიცავს 379 გვერდს და შედგება შვიდი თავისაგან პირველ თავში განხილულია ბალახეული კულტურების ასაღები მანქანების პრინციპული სქემები და მოცემულია მათი ტექნოლოგიური გაანგარიშების საფუძვლები. (უსაყოფიერო მჭრელი აპარატების ფოცხების. სამუშაო ორგანოების და სხვ. თეორია). აქ მასალები თანმიმდევრობით არის ჩამოყალიბებული და ეს უფრო სრულყოფილს ხდის ამ სახელმძღვანელოს.

მეორე თავში ავტორები ძირითადად ეხებიან სალეწი მანქანებისა და კომბაინების კონსტრუქციულ და ტექნოლოგიურ სქემებს და იძლევიან მათს შედარებითს დახასიათებებს. ეს თავი დაწერილია სტუდენტებისათვის გასაგები ენით.

მოსავლის ასაღები მანქანების სამუშაო ორგანოების (მესამე თავი) დარგში ყურადღება გამახვილებულია ძირითადი მუშა ნაწილების (ტარაბუა, სალეწი ამაარატი, ჩალის სამეტყეი) ტიპების, პრინციპულ სქემებსა და გაანგარიშების საფუძველზე. მასალა მეთოდურად სწორად არის ჩამოყალიბებული. ავტორები მთავარ ყურადღებას აპარატების მუშაობას და თეორიულ საფუძვლებს უთმობენ.

ახალ გამოცემაში (წინასთან შედარებით) ამოღებულია „სასოფლო-სამეურნეო სატრანსპორტო მანქანები და ამწე მოწყობილობანი“. ეს საკვანძო სწორია, რადგან მექანიზაციის ფაკულტეტზე ახლა





ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐ ᲙᲚᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს კოლექტივის მიერ შექმნილ ხელსაწყოებს დიდი წარმატება ხვდა ხაფრანგეთის, შვეიცარიის, თურქეთის, უნგრეთის, ალჟირის, კუბისა და სხვა ქვეყნების საერთაშორისო გამოფენებზე.

ამჟამად ამ სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს ინჟინრები და კონსტრუქტორები აქ დიაგნოზიტიკების შემნახავი, მომძღვანი და საკითხავი ავტომატური აპარატის „ფერკურის“ შექმნაზე მუშაობენ, რომელიც მზადდება სსრ კავშირის გაერთიანებული ენერგოსისტემის ცენტრალური სადისპეტჩერო პულტისათვის.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: ახალგაზრდა კონსტრუქტორები (მარცხნიდან მარჯვნივ). ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲮᲣᲚᲘ: ᲤᲘᲠᲣᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ, Ჯ. ᲛᲐᲠᲯᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ და Ხ. ᲮᲘᲮᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ მუშაობენ.

Ა. ᲒᲐᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ (ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ).

ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲐᲓ გაიზარდა ღია ბარათების, წერილების, ამანათების და სხვა კორესპონდენციების რაოდენობა. მთელი ეს უზარმაზარი ფოსტა თბილისის რკინიგზის ფოსტამტში იგზავნება. აქ კი საჭიროა მთელი კორესპონდენციის დროულად დამუშავება. თუ მოხალოცმა წერილებმა და ღია ბარათებმა ერთ დღეს მაინც დაიგვიანეს, ისინი თავიანთ დირეგულებას კარგავენ. ადამიანის დასახმარებლად მოვიდა ტექნიკა. ეს არის წერილების ავტომატური დახარისხების მანქანები, ამანათების დასახარისხებელი ავტომატური ხაზი და სხვ. ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: ამანათების ავტომატური დასახარისხების ხაზი.

Ა. ᲠᲣᲑᲐᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ. (ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ).

ᲨᲔᲛᲝᲕᲣᲜᲐ

ქართული მუსიკა სოჭის ფესტივალზე

პარტიის სოჭის საქალაქო კომიტეტისა და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო აღმასკომის გადაწყვეტილებით ქალაქ-კურორტში 1-5 ივლისს იმართება საბჭოთა ხელოვნების ფესტივალი, — უთხრეს საქინფორმის კორესპონდენტს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიაში. ეს დათვალიერება ეძღვნება სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს.

კონცერტებში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს ფილარმონიის პოპულარული საესტრადო ორკესტრი „რერო“ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის კომპოზიტორ გ. პევზნერის ხელმძღვანელობით, ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „ლალე“ (სამხატვრო ხელმძღვანელი ე. სეფაშვილი). მსმენელები შეხვდებიან რეპუბლიკის სახალხო არტისტს ს. ცინცაძეს მის საავტორო კონცერტზე. აუდერდება კომპოზიტორის მიერ ამ ბოლო წლებში შექმნილი ნაწარმოებები—საკვარტეტო თხზულებანი და 24 პრელუდია ფორტეპიანოსათვის.

ამ კონცერტებში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს სახელმწიფო კვარტეტი და რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი პიანისტი რ. გორელაშვილი. ლექციებს ქართული მუსიკალური ხელოვნების შესახებ წაიკითხავს მუსიკათმცოდნე ე. მაჭავარიანი.

გაიმართება აგრეთვე საქართველოს ხახალხო არტისტის, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატის მ. იაშვილის ორი სოლო-კონცერტი.

(საქინფორმი).

საქართველოს ჟურნალისტებზე



პროექტის სიახლენი

უკანასკნელ ხანს კიდევ უფრო დამშვენდა და გალამაზდა სახელგანთქმული კუორტერ-ბაღი ბორჯომი. კეთილმოწყობილი გახდა ქუჩები, სკვერები, მწვანე მცენარეებით მდიდარი ბაღებით. ქალაქი თითქოს გაფართოვდა, რაც ორიგინალურად დაგეგმილი სანაპირო დაბეტონდა, პეიზაჟს კარგად შეერწყა კიდევ ხიდები, მრავალართუღიანი სასლები.

ბორჯომში ცოტა ახალმშენებლობა როდია. ძველი სასტუმრის ახლო, მაღლობზე ლამაზიავნიანი შკიფსართულიანი სახლის კორპუსი აღმართულა, აქ ქალაქის ახალი 275-ადგილიანი სასტუმროს მშენებლობა მიმდინარეობს. ქალაქის არქიტექტურულ პეიზაჟს უთუოდ დაამშვენებს აგრეთვე ახალი ადმინისტრაციული შენობა.

მაგრამ ყველაზე საინტერესო ობიექტს მაინც კურორტის რკინიგზის ახალი ვაგზალი წარმოადგენს, რომელიც მდინარე ჩარხისწყლის ნაპირზე აშენდება. ვაგზალი ფართო, ნათელი არქიტექტურული ნაგებობა იქნება. პირველ სართულზე განლაგდება რესტორანი, სასტუმრო, ბუფეტი. ვაგზალს ორი პერონი ექნება, დახურული გადასავლელით მგზავრები გადადგენენ მეორე პერონზე, საიდანაც ბაკურიანის მატარებელი გავა. ვაგზლის შენობის პროექტის ავტორები არიან არქიტექტორი გ. მომმანიაშვილი და კონსტრუქტორი ლ. კალმაზეიძე.

სახუს იცვლის ბაკურიანის ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის ვაგონებიც. ისინი უფრო ლამაზი, მოხერხებული და კომფორტაბელური შემადგენლობით შეიცვლება.

ს. კილაძე.

„კომუნისტის“ სპეც. კორ.



სურათებზე: მარცხნივ ახე გამოიყურება ახალი სასტუმროს მშენებლობა; მარჯვნივ — რკინიგზის ახალი ვაგზლის მაკეტი და ბაკურიანის ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის ექსპერიმენტული ვაგონი.

ბაკურიანი

რეიკიავიკი

მატჩის მოლოდინში

— უდიდეს (ეს გადაუჭარბებელია) ინტერესით (ინტერესს იწვევს ისლანდიაში მომავალი [illegible] ბორის სპასკისა და რობერტ ფიშერს შორის, — უთხრა საკვლევის კორესპონდენტს საერთაშორისო გროსმაისტერმა, ნ. კრობეუსმა. იგი ეს-ეს არის დაბრუნდა რეიკიავიკიდან, სადაც ჩვენი საჭადრაკო ფედერაციის დავალებით ირკვეოდა მატჩის მომზადებასთან და მოწყობასთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხს.

...მეტოქენი ითამაშებენ ქალაქის ახალი რაიონის სპორტის სასახლეში. დარბაზი ხუთი ათას მაყურებელს იტევს. სულ კი ისლანდიის დედაქალაქში ცხოვრობს ასი ათასზე ცოტა მეტი კაცი. ასე რომ პრაქტიკულად რეიკიავიკის მთელ მოსახლეობას შეუძლია დაესწროს მატჩს.

საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის დამტკიცებული გეგმით, პირველი პარტია უნდა გაიმართოს 2 ივლისს. მატჩის რეგლამენტი ითვალისწინებს 24 პარტიას (25 აგვისტომდე). მოჭადრაკენი ერთმანეთს შეხვდებიან სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 17-დან 22 საათამდე ადგილობრივი დროით, ანუ 20-დან ღამის 1 საათამდე მოსკოვის დროით. გადადებული პარტიების დამთავრება მოხდება მეორე დღეს. დასვენების დღეები — შაბათობით.

ასპარეზობის მთავარ მხჭედ დანიშნულია გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკის წარმომადგენელი საერთაშორისო გროსმაისტერი ლოტარ შმიდი.

მონაწილეთა და მსაჯთა მაგიდები განლაგდება სცენაზე. სცენის თავზე მონტაჟდება სპეციალური ეკრანი, რომელზეც ეისახება პარტიის მდგომარეობა ამა თუ იმ მომენტში. აგრეთვე უნდენებენ გროსმაისტერების მიერ მოსაფიქრებლად დახარჯულ დროსა და გაკეთებული ხვლების რაოდენობას.

მსოფლიოს ჩემპიონი და მისი თანმხლები პირები დაბინავდებიან სასტუმრო „საგაში“ (სად იცხოვრებს ფიშერი, ჭერჭერობით გარკვეული არ არის). ისლანდიელ ჭადრაკის მოყვარულთა შორის ბევრია სპასკის თაყვანისმცემელი, რომლებიც იცნობენ მის თამაშს საჭადრაკო ლიტერატურით. საჭადრაკო ლიტერატურას ახლა ბევრს შეხვდებით რეიკიავიკის წიგნის მაღაზიებში. მატჩის საორგანიზაციო კომიტეტი საერთაშორისო გროსმაისტერის ფრიდრიკ ოლაფსონის დახმარებით დახარბებდა, პროსპექტებისა და პროგრამების გარდა, ამზადებს ბროშურას მატჩების ისტორიის შესახებ მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობაზე და სპასკისა და ფიშერის დაწვრილებითს ბიოგრაფიებს. გამოვა აგრეთვე სპეციალური საფოსტო მარკები და სუვენირი მონეტები. (საკდენი).

ბაკურიანელ-კუშნირის მატჩი

მესამე ყაიმი

რიგა. 6 ივნისი. (ტელეფონით). დღეს ლატვიის ცენტრალურ ხეჭადრაკო კლუბში გაიმართა მსოფლიო პირველობაზე ნ. გაფრინდაშვილ-ა.კუშნირის მატჩის მეათე გადადებული პარტიის დამთავრება. ნ. გაფრინდაშვილს ორი ზედმეტი პაიკი ჰქონდა, მაგრამ როგორც დეტალური ანალიზისას გამოირკვა, შავი მეფის ღია პოზიციის გამო კუშნირი ინარჩუნებდა კონტაქტებს.

პარტიის განახლებიდან რამდენიმე სვლის შემდეგ ეტლის და კუს გაცვლასთან ერთად კუშნირმა დაიბრუნა პაიკი, რის შემდეგ დაფაზე წარმოიქმნა ლაზიერების დაბოლოება. ამ დაბოლოებაში ნ. გაფრინდაშვილი ზედმეტ პაიკს ინარჩუნებდა, მაგრამ 53-ე სვლაზე მან არ მოინდომა ხანგრძლივი დამქანცველი ენდშპილით თამაში და მეტოქეს თვით გაუკვალა ლაზიერი, რის შემდეგ აშკარა გახდა საყაიმო შედეგი.

თეორიებს 55-ე სვლის შემდეგ მეტოქეები დაზავდნენ.

ეი გადადებული პოზიცია: თეორიები — მფ12, ლd8, ეd1, კa4, პ-ბი: g2, h3 (6); შავები — მფg8, ლe8, ეb8, კf8, პ-ბი g7, e6, g6, h5 (8).

პარტიის დამთავრება ანუ [illegible] მართა.

44... ლf2 (ჩაწერილი სვლა) 45. კe5 ეb5 46. ლb8 ლf5 47. კd6 ეd5 48. ე:d5 ed 49. კ:f8 ლ:f8 50. ლ:b7 ლd6+51. მფg1 d4 52. მფf2 ლf4+53. ლf3 ლ:f3+ 54. მფ:f3 მფf7 55. მფe4 ყაიმი.

ამრიგად, ათი პარტიის შემდეგ ანგარიშია 6,5-3,5 ნონა გაფრინდაშვილის სასარგებლოდ. მსოფლიოს ჩემპიონის წოდების შესანარჩუნებლად მას დარჩენილი ექვს პარტიაში ერთნახევარი ქულაა ყოფნის. რაც შეეხება კუშნირს, მისი ამოცანა განუზომლად ძნელია. მატჩი რომ მოიგოს, მან დარჩენილ ექვს პარტიაში ხუთი ქულა უნდა მოაგროვოს, რაც პრაქტიკულად შეუძლებელია.

მორიგი მეთერთმეტე პარტია, რომელშიც თეორიებით ნ. გაფრინდაშვილი თამაშობს, გაიმართება ხვალ, 7 ივნისს ოფიციალურ სახლის „ოქროს დარბაზში“.

ბ. ბამრეველი,

„კომუნისტის“ სპეც. კორ.

გზის დასაწყისი

ქორეოგრაფიული სასწავლებლის მოსწავლეთა გამოსაშვებ საღამოზე

თბილისის სახელმწიფო ქორეოგრაფიული სასწავლებლის გამოსაშვებლის საღამომ, რომელიც ს. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე გაიმართა, კარგი შთაბეჭდილება დატოვა. კურსდამთავრებულებთან ერთად მონაწილეობდნენ პირველი და მეორე კურსების, უმცროსი და უფროსი კლასის მოსწავლეებიც.

მაყურებელს ემაყოფილება მოჭადგარა თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტის საბალეტმაისტერო გასყოფილების კურსდამთავრებულის ლ. ხხითარიანის მიერ ა. გლაზუნოვის ბალეტ „წელწადის დროთა“ სადიპლომო დადგმამ.

მარტივი და ნათელი სიუჟეტი, სადა სცენები, გასაგები ქორეოგრაფიული ენა ყოველგვარ საშუალებას აძლევდა ახალფეხადგმულ მოცეკვავეებს გამოეკლინებინათ თავიანთი ხელოვნება.

მაყურებელმა ტაშით დააჯილდოვა სცენური გმირები — კურსდამთავრებულნი. ზამთარს განასახიერებდა ი. მახარაძე. გაზაფხულის სურათში მონაწილეობდა ი. ტოპალოვი, რომელიც ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკიდან არის ჩამოსული თბილისში ქორეოგრაფიული ხელოვნების შესასწავლად.

მაყურებლის მეხსიერებაში დარჩება შემოდგომის სურათი, რომელშიც შევხვდით მ. ლოლაძეს, ი. მახარაძეს, ო. ბერიძეს. მათ პროფესიული ოსტატობით შეასრულეს ადაეი.

საკონცერტო განყოფილებაში წარმოდგენილი იყო თითქმის ყველა წამყვანი პედაგოგის ნამუშევარი. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ვ. ჭაბუკიანის მიერ პა დე ტრუას დადგმამ მინკუსის ბალეტ „ბაიადერადან“ ი. მახარაძის, მ. ლოლაძის, გ. გავაშელის მონაწილეობით. სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა ქორეოგრაფიული ნიჭით დაჯილდოებულმა და შესრულების ტექნიკას კარგად დაუფლებულმა ი. მახარაძემ.

მშვენივრად იცეკვეს მ. ლოლაძემ და ო. ბერიძემ ჯ. ადანის ალბერტისა და ვიზელის დუეტი ბალეტ „ჟიზელის“ მეორე აქტიდან.

უმცროსკლასელთაგან გამოირჩეოდა მეექვსე კლასის მოსწავლე ა. ხანიაშვილი ჩაიკოვსკის პატარა გეიშის ცეკვაში და დელიბის პოლკა პიციკატოში (სოლო).

მაყურებელს სიამოვნება მიანიჭეს საქართველოს სსრ დასახურებული არტისტის ი. მეტრეველის აღზრდილმა. მაყურებელს დაამახსოვრდა ბავშვები ჟ. ბიზეს „პატარა ესპანელებში“.

სცენური გაფორმება, სურათების ერთძანეთთან მჭიდრო კავშირი, სეცეკვაო ლამაზი კოსტიუმები საეტაკელს საინტერესო სანახაობად ხდიდა. ყოველივე ამაში დიდი წვლილი მიუძღვით ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის ორკესტრს, რომელსაც დირიჟორობდა საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, პროფესორი ვ. ფალიაშვილი, დადგმის სახატვრო ხელმძღვანელს ვ. ჭაბუკიანს, მხატვარს — საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ი. ასკურავას.

გამოსაშვებმა საღამომ კარგ შთაბეჭდილებასთან ერთად ისიც გვგრძნობინა, რომ დამწყებ ხელოვანთ კიდევ დიდი შრომა დასჭირდებათ ტექნიკური სიძლიერის სრულყოფისათვის, არტისტიზმის ჩვენების გამოშუშავებისათვის. ყოველდღიური მეცადინეობა, გულმოდგინება, დიდი შრომისმოყვარეობა—აი რა მოეთხოვებათ ამ რთული და ფაქიზი ხელოვნების ნორჩ წარმომადგენლებს, რათა შემდგომში ეცქვეს ენით სრულყოფილად, თავისუფლად მოუთხრონ მაყურებლს ლამაზ ადამიანურ გრძნობებზე.

ჟ. თარგიაშვილი.

• • •

სურათზე: თბილისის სახელმწიფო ქორეოგრაფიული სასწავლებლის კურსდამთავრებულნი (მარცხნიდან) ირინე მახარაძე, მარინე ლოლაძე და გალინა გავაშელი ასრულებენ პა დე ტრუას მინკუსის ბალეტ „ბაიადერადან“.

ბ. ბოგოსლოვის ფოტო.

სიმამაცის გამოცდა

სოხუმი. 6 ივნისი. (საქინფორმის კორ.). ძველ ციხე-სიმაგრესთან პლაჟი დაცარიელდა. მოულოდნელად ამოვარდა ქარი და აზვირთდა ზღვა. უცებ იურის შემოესმა ყვირილი და დაინახა წყლის ზედაპირზე ამოტივტივებული ხელები. ფიქრის დრო აღარ იყო. ცამეტი წლის ბიჭი გაუხდელი გადაეშვა ზღვაში. ძალიან გაუჭირდა იურის ნაპირისაკენ გამოცურვა: მას გონდაკარგული ქალი მოჰყავდა, მაგრამ გამოცურა. ერევნიდან კურორტზე ჩამოსული სვეტლანა გრიგორიანი, რომელსაც ოთხი წლის გოგონა ახლდა, გადარჩა.

ეს მოხდა ერთი წლის წინათ.

ამას წინათ გამოქვეყნდა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება იური იგნატოვის „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“. მედლით დაჯილდოების შესახებ. მისი სახელი სკოლის საპატიო წიგნში შეტანილია ამ სკოლის ყოფილი აღზრდილების საბჭოთა კავშირის გმირის ა. დერმანოვსკისა და ოლიმპიური ჩემპიონის ვ. სანეევის სახელების გვერდით.

ძველი გაზეთების ფურცლებზე

„...შემეხვეწეთ რაღაც შავი, მოწითალო ფერის დაფლეთილი ღრუბელი. ჯერ დიდი ხანძრის კვამლი გვგონია, მაგრამ მალე დავრწმუნდით, რომ ეს კალიის გუნდი იყო... მათი ფრთების ხმაური მოგვაგონებდა მრავალცხენიანი ეტლების გრიალს, რომლებიც ბრძოლისაკენ მიჰქრიან, ან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, გემსართავებში ძლიერი ქარის ზუზუსა... გუნდის ძირითადი მასის გადაფრენასას ცა სრულიად აღარ ჩანდა... კალია გაიშალა ყველა მიმართულებით და მინდვრის მწვანე ზედაპირი მოწითლო ფერისა გახდა“, — ასე წერდა კალიის გუნდის შემოსვლის შესახებ დიდი ბუნებისმეტყველი ჩარლზ დარვინი, რომელმაც ეს მოვლენა იხილა 1835 წელს კორდილიერებზე.

კალიების გადაფრენა ნანახი და აღწერილი აქვს არა ერთ ნატურალისტს, მოგზაურს თუ ეთნოგრაფს. გასული საუკუნის ბოლოს ინგლისელმა ნატურალისტმა კარუტერსმა ნახა კალიის გრანდიოზული გადასახლება ჩრდილოეთ ადრიკის სანკპიროდან არაბეთში. დოქტორმა განსაზღვრა, რომ კალიის ერთ „ღრუბელს“ 5.967 კვადრატული კილომეტრი ეჭირა და დაახლოებით 42 მილიონ ტონას იწონიდა!

კალიის „შემოსვლები“ ანადგურებს ნათესებს, მცენარეულობას, მათ გამო ამა თუ იმ ხალხს არაერთი დიდი შიმშილობა გადაუტანია, ამავე დროს მას გადამღები სენიც გადაჰქონდა.

ისტორიაში აღნუსხულია კალიის არაერთი გრანდიოზული გადადფრენა.

ჩვენს ერამდე 205 წელს სამხრეთ იტალიასა და სიცილიას შესვეია კალია, თან გადამღები სენიც შეუტანია. დაღუპულა 800 ათასი კაცი. კალიას იტალია კვლავ აუოხრებია 391 და 864 წლებში. 1084 წელს კალიას აუოხრებია სამხრეთი რუსეთი, 1690 წელს პოლონეთი, ლიტვა, უკრაინა. კალიას გუნდმა შეაჩერა კარლოს XII-ის ჯარის გადასვლა ბესარაბიაზე, როცა მზის სხივები დაფარა.

1778 წელს მაროკოში მთელი მცენარეულობა კალიამ იმსხვერპლა. ამას საშინელი შიმშილი და მასობრივი ავადმყოფობა მოჰყვა. 1784 წელს ალეჟირში კალიის დიდი შემოსვლა აღინიშნა, ხოლო 1888 წელს — მეტად უჩვეულო და არნახული. 1825-27 წლებში რუსეთში კალიის შემოსვლას დიდი შიმშილობა მოჰყოლია.

1899 წელს არნახული ზარალი მიაყენა კალიამ ყანებსა და ნათესებს არგენტინაში. აქ ხშირად კალიის გამო მატარებლის მიმოსვლაც ჩერდებოდა. ჩვენს დროში კალიებმა შეაჩერეს მატარებლები 1950 წელს ქალაქ აპმედაბადთან (ცენტრალური ინდოეთი).

ძველად საქართველოში კალიას მკალი ეწოდებოდა (საბა, დავით და იოანე ბაგრატიონები, გიორგი მერჩული, სტეფანე მტბევარი და სხვ.). მკალია ხშირად ისსენიება „ქართლის ცხოვრებაში“. „მოეფინეს მსგავსად მკალთა ობრებად და სოცად“, „ვითარცა მკალნი და ვითარცა ქვიშა ზღვისა“, უმეტეს იყვნეს რიცხუსა, ვითარცა მკალნი“ და ა. შ.

კალიის შემოსვლა ხშირი იყო საქართველოში, იგი ვრცელდებოდა სამხრეთიდან. შემოსვლას ძირითადად ქართულ-კახეთი განიცდიდა.

დიდი შემოსვლები აღინიშნა, მაგალითად, 1865, 1879, 1880, 1887, 1890-91, 1893, 1906, 1910 და სხვა წლებში.

მოვიდა ღრუბელსავით კალია და მოჰპამა ქვეყანა ყარაბაღიდან გორამდის და ანანურამდის, და ერთი ვეება ნაწილი ამ ღრუბელკალიისა წავიდა კახეთისაკენაცა, და მოვეწია დიდს შიმშილობას“, — წერდა 1879 წლის ივნისში გრიგოლ ორბელიანი თბილისიდან ეკატერინე ჭავჭავაძეს.

ამ წელს კალიამ ავჭალამდე მოაღწია და მალე ფეხი მოიკიდა თბილისშიც. „კალია შემოგვეყო! კუკაპა, რკინისაზსაკენ, ზოგიერთი უბნები, ქუჩები, ეზოები სულ მიდგებულია კალიითა“... — წერდა „დროება“ 1879 წლის 24 მაისს.

კალია შეესია ლეხურის ხეობას და მოსპო ტირიფოსნის ველი. მედროდ ებრძოდნენ კალიას გორის მაზრაში. „კასპში და ზოგიერთს სხვა სოფლებში ხალხი, დედაკაცებიც და ყმაწვილებიც ოხტებითა და ცოცხებით გამოსულან მინდვრებში, სადაც კალიის კვეცსა ეიულებოდათ, ამოუჩიჩქნიათ მიწიდან დიდალი კვერცხები, ზოგი ორმოებში ჩაუყრიათ, ზოგი დაუწვავთ და ზოგი ტომრებით წაუღიათ მაზრის სასამართლოში“, — იტყობინებოდა „დროება“ 1880 წლის 2 აპრილს.

ქართლში ათი ათასი მუშა კიდევ გაუყვანიათ მინდვრად კალიის გასაჟოლტად. მოდიოდა ცნობები, რომ ბოლოს ებრძოდა კალიას ბაკურიანი ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის ექსპერიმენტული ვაგონი. ...ეს ამბავი ბოლოს ბოლოს ეცნობა ბაკურიანელ ბავშვებს,